№6

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის "4 აპრილი"

დამკვეთი - სამტრედიის №1 საჯარო სკოლა
მისამართი: სამტრედია, 9 აპრილის 78
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის" სამტრედიის ფილიალი. ბანკის კოდი 220101426, ანგ. № 34080008 საიდ. კოდი 238762745

| | |
|---|---|
| მომწოდებელი - | ი/მეწარმე „ივანიაძე ოთარი" |
| მისამართი, ტელეფონი - | ქ. სამტრედია საკაძის №9 |
| ხელმძღვანელი - | ოთარი ივანიაძე |
| საბანკო რეკვიზიტები - | სს „ რესპუბლიკა ბანკი" სამტრედიის ფილიალი, ბანკის კოდი 220101029 ანგ №400003602003925 საიდ. კოდი 138768698 |

ერთის მხრივ - დამკვეთი, და მეორეს მხრივ – „მომწოდებელი", ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი სამტრედიის №1 საჯარო სკოლისთვის სამეურნეო და სამშენებლო საქონლის მიწოდება.

1.1 ხელშეკრულბის საგანს წარმოადგენს სამეურნეო და სამშენებლო საქონლის მიწოდება.

1.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მომწოდებელს" ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

საქონელის მიწოდების წესი

„მომწოდებელი" ვალდებულია „დამკვეთი"-ს მიაწოდოს „1" პუნქტით გათვალისწინებული საქონელი

საქონლის მიწოდების შემთხვევაში მხარეები ადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მიწოდებული საქონლის დეტალური აღწერა ფასი და საერთო ღირებულება. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს შემსრულებლის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურა (საჭიროების შემთხვევაში).

საქონლის მიღებას აწარმოებს სამტრედიის №1 საჯარო სკოლა

მხარეთა უფლება-მოვალეობები

მომწოდებელი იღებს ვალდებულებას:

2011 წლის ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს „1.1" პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება „დამკვეთისათვის"

"დამკვეთი" იღებს ვალდებულებას:

გადაუხადოს "შემსრულებელს" მოწოდებული საქონლის საფასური, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (ანგარიშ-ფაქტურის) საფუძველზე.

ხელშეკრულების ფასი

ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 1500 (ათახუთასი) ლარს.

ამ ხელშეკრულების ფასი და მოწოდებული საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს მომწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389 მუხლის საფუძველზე, ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის მიხედვით აღნიშნული კურსის აბსოლუტური მნიშვნელობის 5%-ზე მეტი ცვლილების შემთხვევაში როგორც ზრდის, ასევე შემცირების შემთხვევაში;

საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, რაც უშუალო ზეგავლენას მოახდენს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე და გაზრდის ან შეამცირებს ფასებს 5%-ის ფარგლებში;

ფასების, ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებზე.

ანგარიშსწორების წესი

დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მომწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 10 საბანკო დღის განმავლობაში.

მხარეთა პასუხისმგებლობა

დამკვეთი უფლებამოსილია საქონლის მიუწოდებლობის და\ან ამ ხელშეკრუელბის 3.1.1 პუნქტში მითითებული ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი სამუშაოების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

სხვა პირობები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.

ხელშეკრულებაში დამატებების და\ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 30 დღით ადრე.

ხელშეკრულების საერთო პირობები, მათ შორის ფორს-მაჟორისა და ინსპექტირების პირობები, მიიღება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

| დამკვეთის მხრიდან | მომწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| *სამტრედიის №1 საჯარო სკოლის დირექტორი: ხ. ფაილაძე* | *ი/მეწარმე „ივანიაძე ოთარი"* |